ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №153

2013 წლის 26 დეკემბერი,
ქ. ბათუმი

ზოგიერთი პირისათვის ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების 62–ე მუხლის, ბსუ-ს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის, ქიმიის დეპარტამენტის, ფიზიკის დეპარტამენტისა და ფილოსოფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელების მოხსენებითი ბარათების, ბსუ-ს რექტორის მომართვის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ემერიტუსის წოდების მინიჭება ბსუ-ს ქიმიის, ქართული ფილოლოგიის, ფიზიკისა და ფილოსოფიის დეპარტამენტების 75 წელს გადაცილებული, ღვაწლმოსილი პირების: აზიზ ახვლედიანის, ჯემალ ბერიძის, ოთარ შამილიშვილისა და რომან ზოსიძისთვის, რომელთაც თავის დროზე ეჭირათ აკადემიური თანამდებობები.

2. წარმომადგენლობით საბჭოს ეთხოვოს ამ დადგენილების გათვალისწინებით ემერიტუსის წოდების მინიჭებულ პირთათვის ბსუ–ს წესდებით განსაზღვრული ანაზღაურების მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი **გურამ ჩაგანავა**